



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იკ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

28.08.2023



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ივანნა

გვარი მაჩიტაძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	პოლიტიკის მეცნიერებები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები / Political sciences and civics - 0312
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, 0114, თბილისი, გორგასლის ქუჩა N101.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 20/01/2022 - NMES 4 22 0000045169

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 29 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი, 2022 წლის 29 დეკემბრამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები დამატებით პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“;
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს „პოლიტიკის თეორიის“, „პოლიტიკური იდეოლოგიების“ საკითხები;
3. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი;
4. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის;
5. რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „შედარებითი პოლიტიკა“;
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ განხილულ იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება);
7. რეკომენდირებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები“ წინაპირობა კურსის შინაარსის გათვალისწინებით;
8. რეკომენდებულია, გადაიხედოს და ჩასწორდეს ინგლისური ენის სწავლების შეთავაზების ლოგიკური ჩარჩო და თანმიმდევრობა როგორც დონეების მიხედვით, საკონტაქტო საათების რაოდენობით, ისე სემესტრულ გადანაწილებასთან მიმართებით სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით;
9. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი;
10. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

როგორც აღნიშნულია პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ანგარიშში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, მომზადების პროცესი დაიწყო განსახორციელებელი რეკომენდაციების პრიორიტეზაციით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის მიერ განისაზღვრა ის ღონისძიებები, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული მნიშვნელობით პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის. როგორც ირკვევა სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ წარმოდგენილი 2021-2022 წლის ანგარიშიდან, ცვლილებების განხორციელების შეფასების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე და აქტიურად გამოიყენება მათი უკუკავშირის მექანიზმი. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები 10 რეკომენდაციიდან ყველა იქნა გათვალისწინებული.

როგორც ირკვევა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, რეკომენდაციების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მენეჯერი და სპეციალისტი. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა, პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა და შემდგომ განხორციელება. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასრულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

რჩევ(ებ)ი⁸

- სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ, უსდ-მ განაახლოს სწავლის შედეგების რუკის დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგებთან შესაბამისობა;
- სასურველია გაფარდოდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურა (სავალდებულო/არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კომპონენტების შეჯამებული კრედიტები) უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობით ნაწილსა და თვითშეფასების დოკუმენტში;
- სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსების (დონეების მიხედვით)შეთავაზების ლოგიკა და პოლიტიკა ნათლად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები სავალდებულო ნაწილის მოცულობის შესამცირებლად და არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების გასაზრდელად პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურღვევობის გათვალისწინებით;
- სასურველია, გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტები არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით;
- სასურველია ეკონომიკური ბლოკის სასწავლო კურსებში (ეკონომიკის შესავალი, საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირების საკითხები) გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა/გადაფარვები;
- სასურველია, განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების „პოლიტიკური ფსიქოლოგია“, „შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში“, „ევროკავშირის პოლიტიკა“ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ნაწილში;
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური წერის კრედიტების მოცულობა 5 ან 6 კრედიტამდე;
- სასურველია, აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებდეს დასკვნითი სასწავლო პროექტის კვლევის დიზაინს;
- სასურველია, სილაბუსის შინაარსში დაემატოს კვლევის რაოდენობით მეთოდებთან დაკავშირებული მასალა;
- სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტის სტრუქტურის ნაწილის მოთხოვნებში ჩანაწერის სახით აღინიშნოს საკვლევი საკითხის თეორიასთან მიმართების აუცილებლობა;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ;
- სასურველია ფინანსური მდგრადობის დასადგენად პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) გამოთვლილი იქნას პროგრამის აქტიური სტატუსით სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია 72 სტუდენტის შემთხვევაში, თუმცა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 43-ს;
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსების ფორმირებასა და აუცილებელ ელემენტებთან მიმართებაში.



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს დეტალურ მიმოხილვას რჩევების გათვალისწინების ან შესრულების შესახებ. შესაბამისად, მათი შეფასება ვერ განხორციელდა. ამავ დროს, დაწესებულება ხაზს უსვამს რჩევების სისტემატიურ განხორციელებას პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისამებრ. გასაუმჯობესებელი ასპექტების აღმოჩენის შემთხვევაში და მათი მოგვარების ინსტრუმენტებზე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეთანხმების შედეგად იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები ყველა რელევანტური პირების ჩართულობით.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I ¹⁴	რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“.
შეფასება	შესრულებულია. დაწესებულებამ გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია, რაც დასტურდება ორივე სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსებით.

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	<p>1) „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსები;</p> <p>2) პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა.</p>
------------------	---

სტანდარტის დასახელება	1. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II ¹⁵	რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს „პოლიტიკის თეორიის“, „პოლიტიკური იდეოლოგიების“ საკითხები;
შეფასება	შესრულებულია. როგორც ირკვევა საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილიდან, სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკური თეორია“ პროგრამას დაემატა მეხუთე სემესტრში, ხოლო სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკური იდეოლოგიები“ - მერვე სემესტრში. ორივე სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა - 5 ECTS.
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>1) „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილი;</p> <p>2) სასწავლო კურსების სილაბუსები.</p>

სტანდარტის დასახელება	1. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი.

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	<p>უმეტესწილად შესრულებულია.</p> <p>წარდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად და მკაფიოდ ჩანს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, 16 სასწავლო კვირაზე გაწერილი სემესტრი, ფინალური გამოცდების საათობრივი დატვირთვა.</p> <p>ამავე დროს, ისეთი სასწავლო კურსების სილაბუსებში როგორცაა „აკადემიური წერა“, „ადამიანის უფლებები“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „შედარებითი პოლიტიკა“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანტროპოლოგია“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და სხვა საჭიროა ლექცია-სემინარის საათების მითითება კვირების მიხედვით, რადგან სილაბუსში მოცემულია მხოლოდ ინფორმაცია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამური რაოდენობის შესახებ. აღნიშნული დაზუსტება ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში მეტად ეფექტიან ჩართულობას, მის დაგეგმვას, საკითხავი მასალების სრულყოფილ ათვისებას.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	<p>1. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</p>
კომპონენტის დასახელება	<p>1.5 სასწავლო კურსი</p>
რეკომენდაცია IV	<p>რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის.</p>
შეფასება	<p>შესრულებულია.</p> <p>სავალდებულო სასწავლო კურსებში გაწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. გამოყენებულია აქტიური ფორმის ზმნები, მითითებულია ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპეტენციები, რომლებიც მიღწევადია და გაზომვადია და უზრინველყოფენ ბაკალავრიატის საფეხურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსების სილაბუსები.



სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V	რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“ და „შედარებითი პოლიტიკა“.
შეფასება	შესრულებულია. ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსი განსხვავებულია: „შედარებითი პოლიტიკის“ სილაბუსში აქცენტი კეთდება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური სისტემების შესწავლაზე პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაციის საკითხებს შედარების გზით სტრუქტურულ-ფუნქციონალური პერსპექტივიდან, ხოლო „საქართველოს სახელმწიფო მოწყობის და პოლიტიკური სისტემის“ სასწავლო კურსში განიხილება საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორია და ევოლუცია, მისი როლის და ფუნქციების ჩამოყალიბება. სასწავლო კურსის მეორე ნახევარში ისწავლება საქართველოს პოლიტიკური სისტემის თავისებურებები და მმართველობის ფორმები. თითო სასწავლო კურსის შემთხვევაში სავალდებულო ლიტერატურა და შეფასების კომპონენტები განსხვავებულია. შედარებითი პოლიტიკის შემთხვევაში გამოყენებულია დანიელ კარამანის წიგნი ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, საგნის წინაპირობებს შორის ინგლისური ენის ცოდნაა.
მტკიცებულებ(ებ)ა	1) „შედარებითი პოლიტიკა“ 2) „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ განხილულ იქნას როგორც სფეროს



	<p>მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება).</p>
შეფასება	<p>შესრულებულია.</p> <p>ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი „პოლიტიკური თეორია“, ხოლო „პოლიტიკური თეორიის და ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია“ (მესამე სემესტრი). აღნიშნული კურსი წინაპირობად განისაზღვრა „პოლიტიკური იდეოლოგიების“ სასწავლო კურსისთვის (მერვე სემესტრი).</p> <p>როგორც უკვე ნახსენებია მეორე რეკომენდაციაში, „პოლიტიკური იდეოლოგიები“ ახალი სასწავლო კურსია, რომელიც დაემატა პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამას განხორციელებული ცვლილებების შედეგად. შესაბამისად, ისეთი სასწავლო კურსების ერთობლიობა, როგორცაა „პოლიტიკის თეორია“, „პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“, უზრუნველყოფს პროგრამის პირველი სწავლის შედეგის განხორციელებას, კერძოდ, პოლიტიკური მეცნიერებების საფუძვლების, პოლიტიკური იდეოლოგიების, თეორიების და სისტემების ძირითადი მახასიათებლების აღწერას.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ol style="list-style-type: none"> 1) „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამა; 2) სასწავლო კურსის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII	რეკომენდირებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსის „პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები“ წინაპირობა კურსის შინაარსის გათვალისწინებით.



შეფასება	შესრულებულია. რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რაც დასტურდება საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილით და პოლიტიკური მარკეტინგის სასწავლო კურსის სილაბუსით.
მტკიცებულებ(ებ)ა	1) „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილი; 2) სასწავლო კურსის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია, გადაიხედოს და ჩასწორდეს ინგლისური ენის სწავლების შეთავაზების ლოგიკური ჩარჩო და თანმიმდევრობა როგორც დონეების მიხედვით, საკონტაქტო საათების რაოდენობით, ისე სემესტრულ გადანაწილებასთან მიმართებით სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით;
შეფასება	შესრულებულია. რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რაც დასტურდება საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილით და ინგლისური ენის სილაბუსებით. როგორც აღნიშნულია პროგრამაში, მასზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს უცხო ენა-ინგლისური ენა. გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს. ინგლისური ენა ისწავლება პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში - თითო დონეს, კერძოდ ბ1 და ბ2, ეთმობა ერთი აკადემიური წელი/ 2 სემესტრი.
მტკიცებულებ(ებ)ა	1) „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; 2) ინგლისური ენის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია IX	რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი.
შეფასება	შესრულებულია.



	როგორც ირკვევა სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, დასწრების კომპონენტი ამოღებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების კომპონენტებიდან.
მტკიცებულებ(ებ)ა	1) პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები - შეფასების კომპონენტები.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია X	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
შეფასება	<p>შესრულებულია.</p> <p>როგორც ირკვევა სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ წარდგენილი 2021-2022 წლის ანგარიშიდან, ცვლილებების განხორციელების შეფასების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისათვის უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული პირების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით, მათ შორის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან მიღებული გარე შეფასების შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში გასაუმჯობესებელი მხარეები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.</p> <p>სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:</p> <p>დაგეგმე-განახორციელე-განავითარე-შეამოწმე.</p> <p>დაწესებულებამ წარადგინა სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასების დოკუმენტები და ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიში.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	1) 2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრების ანალიზი



	<ol style="list-style-type: none">2) 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური მოსწრების ანალიზი3) სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების ანალიზი - 2021-2022 გაზაფხულის სემესტრი4) სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების ანალიზი - 2021-2022 შემოდგომის სემესტრი5) სტუდენტებთან გამართული ფოკუს ჯგუფების ანგარიში6) პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში.
--	---

თანდართული დოკუმენტაცია¹⁶

ექსპერტის ხელმოწერა

¹⁶თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა